საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-53

27/01/2022

ქ. თბილისი

„შპს „პარტნიორის“ თიხა-თაბაშირისაგან თაბაშირის (სალესი მასალის) წარმოების ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურმეობის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №2-804 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 22 დეკემბერს სამინისტროს მომართა შპს „პარტნიორის“ მინდობილმა პირმა და ითხოვა 2018 წლის 3 ოქტომბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმება.

2018 წლის 3 ოქტომბერს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-804 ბრძანება „შპს „პარტნიორის“ თიხა-თაბაშირისაგან თაბაშირის (სალესი მასალის) წარმოების ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმო აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „პარტნიორის“ განცხადების, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „პარტნიორის“ თიხა-თაბაშირისაგან თაბაშირის (სალესი მასალის) წარმოების ქარხნის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №2-804 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „პარტნიორს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პარტნიორის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი